

**Conceptual consideration instead of preface.****To: Nancy-Ann De Parle – Director at The White House Office of Health Reform and Counselor to the President at The White House.****Dear Nancy-Ann De Parle**

I've received your invitation to submit a proposal on my opinion about Health Care reforms. It is a great honor for me to have this opportunity to share my opinion about it with you. I looked through my records made after President's meetings with doctors on five October and once again I got assured that the Health care systems problems faced by U.S. and Georgia are the same, moreover these problems are identical for other countries as well, bearing a message that Health care reforms are to be carried out in every country worldwide. For 17 years I practiced medicine under socialism laws, 4 years under no law – while overcoming transient social turbulence and 13 years under capitalism laws. During my medical practice I acquired knowledge about Health Care systems of other countries. This knowledge shows that the main problem of health care service of every country is closely correlated with fragility and weakness of the management systems. These management systems have become out of date and all they do now is hinder the work of health care service. Health care similar to education is a conservative field of human activity and putting into practice any kind of voluntary decision may cause failure of the existing system. Whereas this existing system might be really bad, the experience shows that it is better to manage the system under poor laws than under no law at all. Thus, any change within health care system shall be preceded by significant work on it. Having taken into account the aforesaid, it might be better to independently create a few models of reforms and then, after coupling them compatibility and applicability shall be proved by being tested in practice in one or several regions of the country, and only after testing them the best version shall be chosen to be implemented all over the country. According to this experience out of the four sides participating in this process: a citizen, a physician, an insurer and a state, tremendous attention shall be paid to the factors serving the interests of citizens and physicians, while the roles and interests of other sides should not be reduced or forgotten. The basis of such model shall become the availability of internationally recognized minimum requirements for every citizen and the social minimum ought to be guaranteed to every citizen – so that they are able to earn the money to pay for these minimum requirements for themselves and for their families. End the end, Human life is what we do value most, it the most precious thing and every effort to retain and prolong people's life would be perceived with gratitude by every citizen of every country, and that sense of gratitude would further unite them. Thus, health care service reform is similarly significant for other nations as well and I am sure they will keep close watch on the reform implement.

With best regards, **Zurab Kheladze – Director. Academician**

კონცეპტუალური მოსაზრებები შესავალის მაგივრად  
 ნენსი ენ დე პარლეს თეთრი სახლის ჯანმრთელობის რეფორმების ოფისის დირექტორს და  
 თეთრი სახლის კანცლერს პრეზიდენტთან

ძვირფასო ნენსი ენ დე პარლეს

მე მივიღე თქვენი სახელით მიწვევა ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის რეფორმის შესახებ მოსაზრებების წარმოდგენაზე. ეს დიდი პატივია ჩემთვის და შევეცდები გაგიზიაროთ ამ მოსაზრებების ნაწილი. მე გადავხედე პრეზიდენტის ექიმებთან 5 ოქტომბრის შეხვედრის ჩანაწერებს და კიდევ ერთხელ დაგრწმუნდი იმ პრობლემების იდენტიფიკაციაში, რომლებიც აწუხებს აშშ და საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამსახურებს. უფრო მეტიც, ეს პრობლემები საერთოა ყველა სხვა ქვეყნისთვისაც, რაც იმის მაუწყებელია, რომ ჯანმრთელობის დაცვის სამსახურების რეფორმები აუცილებლადაა ჩასატარებელი მსოფლიოს ყველა ქვეყანაში. ჩემი ექიმობის 17 წელი სოციალისტური კანონების, ოთხი-კანონების არ მქონე გარდამავალი, ხოლო კიდევ 13 წელი კაპიტალისტური კანონების მატარებელი ჯანმრთელობის დაცვის სამსახურში მიმდინარეობდა. მე ასევე გარკვეული ცოდნა შემიძინია სხვადასხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამსახურების მუშაობის შესახებ. ეს ცოდნა კი უჩვენებს, რომ თითქმის ყველა ქვეყნის ჯანმრთელობის დაცვის სამსახურების უმთავრესი პრობლემა მართვის სისტემების არასრულფასოვნებაა, ისინი მოძველდნენ და ამ სამსახურების მუშაობას აფერხებენ. თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ ჯანმრთელობა განათლების მსგავსად, ადამიანის მოღვაწეობის კონსერვატული სფეროა და ნებისმიერი ვოლუნტარისტული გადაწყვეტილების პრაქტიკაში გატარებამაც კი სავარაუდოა არსებული სისტემის კრახი გამოიწვიოს. ეს არსებული კი, შესაძლოა მართლაც ცუდი იყოს, მაგრამ გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ჯანმრთელობის დაცვის სამსახურების მართვა სჯობს ისევ ცუდი კანონებით ხორციელდებოდეს, ვიდრე ამ კანონების არ არსებობის დროს. ასე რომ ჯანმრთელობის დაცვის სფეროში ჩატარებულ ყოველგვარ გარდაქმნას მნიშვნელოვანი მუშაობა უნდა უძღოდეს წინ. ამ თვალსაზრისით შესაძლოა უმჯობესია ერთმანეთის დამოუკიდებლად შეიქმნას რეფორმის რამდენიმე მოდელი, რომელთა შეჯერების შემდეგ მოხდება მათი ვარგისიანობის პრაქტიკაში შემოწმება ქვეყნის ერთ ან რამდენიმე რეგიონში და საუკეთესო ვარიანტი მხოლოდ ამის შემდეგ განხორციელდება მთელ ქვეყანაში. ამასთან პროცესში მონაწილე ოთხი მხარედან მოქალაქე, მკურნალი, დამზღვევი და სახელმწიფო, უმთავრესი ყურადღება მოქალაქესა და მკურნალის ინტერესებს უნდა ეთმობოდეს, თუმცა არც სხვა მხარეების როლი უნდა იყოს დაკნინებული. ამ მოდელების საფუძველი უნდა გახდეს აგრეთვე ყოველი მოქალაქისთვის ჯანმრთელობის დაცვის საერთაშორისოდ აღიარებული მინიმალურად აუცილებელი მოთხოვნების უცილობელი მიღების შესაძლებლობა და მათი ღირებულების გამომუშავების შეუზღუდავი შესაძლებლობა თავისთვის და თავის ოჯახისთვის. და ბოლოს, ყველაზე ძვირფასი რაც ადამიანს გააჩნია ეს სიცოცხლე და ყოველგვარი მცდელობა ამ სიცოცხლის შესანარჩუნებლად ან გასახანგრძლივებლად მადლიერებით იქნება აღქმული ყოველი ქვეყნის ყოველი მოქალაქის მიერ, რაც მათი ერთიანობის უმთავრესი პირობაა. ასე, რომ აშშ მიმდინარე ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის ეს რეფორმა სხვა ერებისთვისაც უადრესად მნიშვნელოვანია და ყველანი დიდი ინტერესით მიადევნებენ თვალს მის მიმდინარეობას.

საუკეთესო სურვილებით, **ზურაბ ხელაძე - დირექტორი, აკადემიკოსი.**